26/07/2021

სამების ტაძარში ჩვილთა საყოველთაო ნათლობა გაიმართა

სამების ტაძარში ჩვილთა საყოველთაო ნათლობის 63-ეტაპი ჩატარდა.

პატრიარქის ნათლულებს 1 200-მდე ახალშობილი შეემატა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ამ დროისთვის 42 000-მდე ნათლული ჰყავს.

საყოველთაო ნათლობის იდეა სრულიად კათოლიკოს-პატრიარქს ეკუთვნის და მისი მიზანი ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებაა. ილია მეორე ჯვარდაწერილი ოჯახების მესამე და მომდევნო შვილებს ნათლავს.

პირველი საყოველთაო ნათლობა სამების ტაძარში 2008 წლის 19 იანვარს გაიმართა.

1tv.ge